საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2016 წლის საქმიანობის ანგარიში

1. საზოგადოებრივი მართლწესრიგი და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვა

1.1. თანამედროვე საპოლიციო მეთოდოლოგიის დანერგვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ ამოცანას საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულისა და სამართალდარღვევათა რიცხვის შემცირება წარმოადგენს. დანაშაულებრივ ქმედებებზე მუდმივი მზადყოფნის და საჭიროების შემთხვევაში საზოგადოების მოთხოვნებზე დროული რეაგირების მიზნით 2016 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა მაღალტექნოლოგიური „ერთობლივი ოპერაციების ცენტრი“, რაც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ქვეყანაში პოლიციის ტექნოლოგიური განვითარების კუთხით. ცენტრის არსებობის მიზანია ქვეყანაში უსაფრთხოების გაზრდა, პრევენციის გაძლიერება და რაც მთავარია, ტექნოლოგიური განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა; ამასთანავე, 2016 წლის 22 აგვისტოს N458 შს მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროგრამა. საპილოტე პროგრამის მიზანია ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის სრულფასოვნად და ეფექტიანად დანერგვა, ქვეყანაში მომხდარი სამართალდარღვევების ტენდენციების, მეთოდების, მათში მონაწილე პირების შესწავლა და

ფუნდამენტური ანალიზი. საპილოტე პროგრამა, 2016 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველოს მასშტაბით პოლიციის სამ სამმართველოში გავრცელდა.

საექსპერტო–კრიმინალისტიკური სამსახურის თანამედროვე ხელსაწყოებით არასაკმარისი აღჭურვა აფერხებს ზოგიერთი ტიპის დანაშაულის გახსნას. საექსპერტო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერების, თანამედროვე ხელსაწყოებით აღჭურვის და დანაშაულის დროულად გახსნის მიზნით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობისა და ორმხრივი მუშაობის შედეგად, შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკიდან ინფორმაციის მოძიების, ამოღებისა და კოპირების სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა X-Ways და ციფრული ინფორმაციის მატარებლებიდან (კომპიუტერები, ტაბლეტები, მობილური ტელეფონები და სხვ.) ინტერენტ არტეფაქტების მოძიება–ამოღების პროგრამა Magnet Forensic. ამასთანავე, აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიურომ (INL), საექსპერტო–კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს დანაშაულის შემთხვევის ადგილის ღამის პირობებში შესწავლისათვის გადასცა უსადენო გარე განათების 10 ცალი სისტემა PELICAN 9460.

მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია საგზაო უსაფრთხოება. სწორედ ამიტომ, შინაგან საქმეთა სამინისტრო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლებას, რომლის მიზნითაც 2015 წლის ბოლოს დაიწყო სპეციალური პროგრამის განხორციელება. პროგრამის მიზანია დაიცვას მოქალაქეების სიცოცხლე და უზრუნველყოს ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირება. ახალი პროგრამა ითვალისწინებს როგორც საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე, მოიცავს, ფართომასშტაბიან კამპანიასაც. 2015 წლის დეკემბრის თვიდან „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის“ ფარგლებში ფართომასშტაბიანი სოციალური კამპანია დაიწყო, სლოგანით „შენი გულისთვის-შენი უსაფრთხოებისთვის“. განხორციელდა კამპანიის ბრენდინგი - შეიქმნა კამპანიის სლოგანი „შენი გულისთვის - შენი უსაფრთხოებისთვის!“ და კამპანიის ლოგო, რომელიც არის საგზაო ნიშნებით დაფარული გული - სიცოცხლე, რომელსაც იცავს საგზაო ნიშნები და წესები; 2016 წლის განმავლობაში საგზაო უსაფრთხოების თემაზე მომზადდა: ვიდეორგოლი, სატელევიზიო და

რადიო გადაცემები, ტელე და რადიო სიუჟეტები, ასევე სტატიები; კამპანიისთვის შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი: http://cheminabiji.com/;

საზოგადოებრივი წესრიგის, სათხილამურო გზებზე სხვადასხვა სახის შემთხვევის პრევენციისა და დამსვენებელთა უსაფრთხოების მაქსიმალურად დაცვის მიზნით, 2016 წლის იანვარში სამთო-სათხილამურო კურორტებზე დაიწყო ახალი პროექტი, რომლის ფარგლებშიც სათხილამურო ტრასებზე უსაფრთხოების კონტროლს მოთხილამურე პატრული ახორციელებს. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ–ინსპექტორებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგები, მოთხილამურე პატრულ-ინსპექტორებისთვის შეძენილ იქნა სათხილამურო აღჭურვილობა, ბრენდირებული ტანსაცმელი და ასევე, სპეციალური ვიდეო კამერები ჩანაწერის საწარმოებლად და სხვა აღჭურვილობა; 2016 წლის ბოლოს გუდაურის სამთო-სათხილამურო კურორტს დაემატა მესტიის (თეთნულდი, ჰაწვალი), ბაკურიანის (I, II, III ტრასა) და გოდერძის უღელტეხილის სამთო კურორტები, სადაც საერთო ჯამში შინაგან საქმეთა სამინისტროს 74 თანამშრომელი უზრუნველყოფს დამსვენებელთა უსაფრთხოებას, მათ შორის სპეციალური ეკიპირებით აღჭურვილი 30 პატრულ-ინსპექტორი.

1.2. დანაშაულის პრევენციის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ოჯახში ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის და აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი მექანიზმების, სახელმწიფო თუ სხვა არსებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით 2016 წლის ოქტომბრის თვეში შს მინისტრის ინიციატივით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სოციალური კამპანია „ძალა ნდობას“ დაიწყო.

2016 წლის ივლისში შს სამინისტრომ კიბერდანაშაულის პრევენციის მიზნით საინფორმაციო კამპანია დაიწყო. კამპანიის ფარგლებში მომზადდა ვიდეორგოლი, რომელიც საზოგადოებას კიბერდანაშაულის გავრცელებულ კატეგორიებსა და მომხმარებელთა დაცვის პრინციპებს აცნობს.

2016 წელს ამოქმედდა კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის პორტალი, რომლის მიზანია შსს–ს თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება საპოლიციო და სამინისტროს საქმიანობის

სფეროს მიკუთვნებული სხვადასხვა მიმართულების შესახებ; მსოფლიო სიახლეებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მუდმივად მოწოდება; შსს–ს სხვადასხვა დანაყოფებიდან ინიციატივების გაზიარება შემდგომი განვითარების კუთხით; სამინისტროში შემუშავებული სახელმძღვანელო სტრატეგიებსა თუ შიდაუწყებრივ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; შსს–ს თანამშრომლების ჩართულობის გაზრდა სამინისტროს განვითარების პროცესში.

2016 წლის ოქტომბრის თვიდან საჯარო სკოლებში დაიწყო პროექტის „უსაფრთხოების ათი გაკვეთილი“-ს განხორციელება; პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით 42 საჯარო სკოლაში მეხუთე კლასელთათვის უსაფრთხოების თემატიკასა და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების შესახებ გაკვეთილებს შს სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლები ატარებენ. 2016 წელს სასწავლო წლის განმავლობაში მთლიანი საქართველოს შეხვედრები გაიმართა 4000-მდე მოსწავლესთან.

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტი „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“, რომელშიც ჩართულია შს სამინიტროს 9 დანაყოფი. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს შს სამინისტროს 7 ქვედანაყოფში უტარდებათ ექსკურსია, ხოლო ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ახალგაზრდებთან საინფორმაციო საგანმანათლებლო შეხვედრებს მართავენ მათთან სკოლაში. 2016 წელის სასწავლო პერიოდში მოსწავლეებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა გაიმართა 2000-ზე მეტი მოსწავლესთან.

ოქტომბრის თვეში, წინასაარჩევნოდ, მომზადდა ვიდეორგოლი პოლიციის აპოლიტიკურობის შესახებ. ვიდეორგოლი განთავსდა ტელევიზიებში: „რუსთავი2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „ჯი-დი-ეს“-ი, „მაესტრო“, „TV1“.

2. ადამიანის უფლებების დაცვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანია, მისი საქმიანობის განხორციელებისას მაქსიმალურად დაიცვას ადამიანის უფლებები. კერძოდ, ნებისმიერი საპოლიციო ღონისძიება უნდა ემყარებოდეს კანონიერების, პიროვნების, პატივისა და ღირსების, ჰუმანურობისა და საჯაროობის დაცვის პრინციპებს.

2.1. ადამიანის უფლებების დაცვა დროებითი მოთავსების იზოლატორებში

2.1.1. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

იზოლატორების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით 2016 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ადმინისტრაციული მხარდაჭერის სამსახური, რომელიც ახორციელებს იზოლატორების საჭირო ინვენტარით და ნივთებით მომარაგებას. ხოლო თავად იზოლატორებში შესაბამისი პირობების დაცვაზე რეგულარულ მონიტორინგს, მონიტორინგის სამსახური ახორციელებს.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებულ პირთა პირობების გაუმჯობესების მიზნით მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა სამუშაო. ამ მიმართულებით 2015-2016 წლებში შემდეგი ცვლილებები განხორციელდა:

- ევროკავშირის გრანტის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ყველა იზოლატორში დასრულდა საწოლების გადაკეთება, ასევე მაგიდა-სკამებისა და უსაფრთხო განათების დამონტაჟება;
- იზოლატორში ყველა მოთავსებული პირი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის საშუალებებით, საკითხი მასალით, მათ დღეში სამჯერ მიეწოდებათ ცხელი საკვები;
- დასრულდა სარემონტო სამუშაოები მცხეთის, თეთრიწყაროს და გორის დროებითი მოთავსების იზოლატორებში;
- სრულად განახლდა საგარეჯოს და ამბროლაური დროებითი მოთავსების იზოლატორებში;
- სამუშაოები ჩატარდა ქ. თბილისის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორში, რა დროსაც მოხდა იზოლატორის შშმ პირებისათვის ადაპტირება;
- კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამ იზოლატორს, კერძოდ ყვარლის, იმერეთის, რაჭა-

ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ასევე ქვემო ქართლის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორებს.

2.1.2. ნორმატიული ბაზის დახვეწა

ადამიანის უფლებების უზრუნველყოფა მუდმივი პროცესია, რომელიც ასევე გულისხმობს სამართლებრივ ცვლილებებს. დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებისა და იზოლატორების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით 2016 წელს:

- დამტკიცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ახალი ტიპური დებულება და შინაგანაწესი. შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი თანამშრომელთა მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევებში შეტყობინების განხორციელების ინსტრუქცია;
- დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქცია;
- დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს თანამშრომელთა სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს (SOP);
- სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციებთან ერთად დამტკიცდა იზოლატორში მოთავსებული პირების სამედიცინო შემოწმების ფორმა, რომელიც შემუშავებულ იქნა სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად;
- 2016 წლის დეკემბრის თვეში დასაწყისში შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოშიმშილე პირთა ყოფნის პირობების შესახებ ინსტრუქცია.

3. სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა

საზღვრის უსაფრთხოების გაძლიერებისა და გაუმჯობესებული კონტროლის მიზნით, 2016 წლის განმავლობაში გაუმჯობესდა სასაზღვრო სექტორების ინფრასტრუქტურა, ასევე, აშენდა ახალი სექტორები.

2016 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სასაზღვრო პოლიციის მოდერნიზაციის, სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის ხუთწლიანი პროგრამის იმპლემენტაცია, რაც მოიცავს სასაზღვრო პოლიციის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას, ინფრასტრუქტურის განახლებას, საზღვაო ფლოტისა და ავიაციის მფრინავი საშუალებების მოდერნიზაციას.

სასაზღვრო პოლიციის ყველა სტრუქტურული ერთეული გადავიდა ინფორმაციის რადიოკავშირებით გაცვლის კრიპტოგრაფიულ (CITADEL) რეჟიმზე.

შეიქმნა სასაზღვრო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი, რომელიც სასაზღვრო უსაფრთხოების მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს. ერთიანი მართვის ცენტრი, შსს–ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბაზაზე, სადგურ „სუფსა“-ს ტერიტორიაზე, აშშ-ს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის დაფინანსებით აშენდა. ცენტრში 8 სახელმწიფო უწყებაა გაერთიანებული, რომელთა კოორდინაციასაც შს სამინისტრო ახდენს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს ორი, 110 ფუტიანი Island-ის კლასის საპატრულო ხომალდი საჩუქრად გადმოსცა. ხომალდების გადმოცემის შედეგად, საქართველოს შესაძლებლობა ეძლევა, მნიშვნელოვნად გააძლიეროს სახელმწიფო საზღვაო საზღვრის დაცვისა და დადგენილი სამართლებრივი რეჟიმის შესრულებაზე კონტროლი, პარტნიორებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახის ერთობლივ საზღვაო ოპერაციებში. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უზრუნველყოფს აღნიშნული ხომალდების ეკიპაჟების 10 კვირიან გადამზადებას აშშ-ს სანაპირო დაცვის შესაბამის სასწავლებელში.

საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო სექტორ „სადახლოზე“ ელექტრონული მონიტორინგის სისტემის მართვის ცენტრი გაიხსნა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მსგავსი ტიპის სამეთვალყურეო სისტემა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე დაინერგა. მისი მიზანია საზღვრის უსაფრთხოების გაძლიერება რაც, თავის მხრივ, ტრანსსასაზღვრო დანაშაულისა და უკანონო მიგრაციის შემთხვევების გამოვლენას და აღკვეთას შეუწყობს ხელს.

დასრულდა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დასაცავ მონაკვეთზე №4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) სასაზღვრო სექტორების „ჭაჭუნა“ და „იორის“ გაერთიანება და ამის შედეგად საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის №4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) №2 სასაზღვრო სექტორი „იორი“. აღნიშნული პროექტი განხორციელდა ექსპორტის კონტროლის და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) ფარგლებში, საქართველოში აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების განვითარება მიგრაციის და საზღვრის მართვის სფეროში'' ფარგლებში შეიძინა ათი ცალი მეორადი ინსპექტირებისათვის საჭირო აღჭურვილობა (FOSTER & FREEMAN), რომელიც დაურიგდა ათ სასაზღვრო გამტარ პუნქტს. ამასთანავე, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ათი სასაზღვრო გამტარი პუნქტის თანამშრომლებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მეორადი ინსპექტირების განხორციელებისათვის, ჩაუტარდათ სასწავლო კურსი.

4. ხარისხიანი მომსახურების გაწევა

საზოგადოების უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფის და ამ კუთხით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ქ. რუსთავში გაიხსნა სსიპ „112“-ის ახალი ცენტრი. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აგებულ ახალ ცენტრში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირებული სამუშაო გარემოა შექმნილი. შენობაში არსებული

ე.წ. ანტისტრესული ოთახები, „112“-ის ოპერატორებს და დისპეჩერებს რთული სამუშაო პროცესის შემსუბუქების საშუალებას აძლევს. „112“-ის ახალ შენობაში განთავსებულია ასევე ტრენინგ ცენტრი, რომელიც თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნავს. თბილისის და რუსთავის ცენტრები პარალელურ რეჟიმში მუშაობენ და გადაუდებელი დახმარების შესახებ ზარებს სრულიად საქართველოდან იღებენ.

2016 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრმა - „112“ თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამი ახალი პროექტი დანერგა. აღნიშნული პროექტების განხორციელება კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის „112“-ის მომსახურებას. ეს პროექტებია: 1) „მობილური აპლიკაცია“ - 2017 წელს, „112“ უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით აამოქმედებს მობილურ აპლიკაციას, რომელიც მოქალაქესა და გადაუდებელი დახმარების ნომრის ოპერატორს შორის უმოკლეს დროში კავშირის დამყარებისა და ადგილმდებარეობის დაუყოვნებლივ განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. გადაუდებელი დახმარების მიზნებისთვის, მობილური აპლიკაცია მსოფლიოს 13 ქვეყანაშია დანერგილი და ამიერიდან იგი საქართველოს მოქალაქეებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება. აპლიკაცია იქნება სამენოვანი და ექნება IOS-ისა და Android-ის პლატფორმების მხარდაჭერა. 2) „eCall Georgia“ - შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი საქართველოში ასევე ნერგავს ევროკავშირის ინიციატივით შემუშავებულ, საპილოტე პროექტს - eCall Georgia, რაც ავტოსაგზაო შემთხვევისას, სატრანსპორტო საშუალებაში წინასწარ ჩამონტაჟებული სისტემის (In-Vehicle System, IVS) მეშვეობით, გადაუდებელი დახმარების ნომერზე ავტომატური განგაშის სიგნალის გაგზავნას გულისხმობს, ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით. 3) „პროგრამა საპატრულო ეკიპაჟებისთვის და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებისათვის“- „112“-ის მესამე, ახალი პროექტი, ინფორმაციის ვიზუალური მიმოცვლის მიზნით, სპეციალურად საპატრულო ეკიპაჟებისთვის შეიქმნა. საპატრულო ეკიპაჟებში განთავსებულ პორტატულ კომპიუტერებში ჩაწერილი პროგრამა „112“-ში გადაუდებელი შემთხვევის შესახებ შესული შეტყობინების შესახებ ეკიპაჟის დეტალურ და მყისიერ ინფორმირებას უზრუნველყოფს. ანალოგიური პროგრამა უახლოეს მომავალში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებისთვისაც დაინერგება. დასავლური სტანდარტების, თანამედროვე ტექნოლოგიებზე აგებული ახალი პროექტები „112“-ის

მომსახურებას კიდევ უფრო გააუმჯობესებს, საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების დროს საგრძნობლად შეამცირებს და მოქალაქეთა უსაფრთხოების ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდის.

მომსახურების სააგენტოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართვის მოწმობის ასაღები გამოცდის ჩაბარების ინოვაციური სერვისი დაინერგა. სპეციალიზებული ავტომობილით მხოლოდ გარკვეული კატეგორიის შშმ პირები ისარგებლებენ, თუმცა, მომავალში ყველა კატეგორიის შშმ პირს მიეცემა საშუალება, მართვის მოწმობის ასაღები პრაქტიკული გამოცდა ადაპტირებული ავტომანქანით ჩააბაროს.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების გაზრდის მიზნით 2016 წელს დაცვის პოლიციის დეპარტამანეტში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გაიხსნა დაცვის პოლიციის 4 ახალი შენობა; ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის პერიმეტრი აღიჭურვა ღობის სენსორებით და ვიდეოსამეთვალყურეო ტექნიკური საშუალებებით; იმერეთი-გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დაინერგა ციფრული კავშირგაბმულობის სისტემები; ოპერატიული რეაგირების ჯგუფების, დაცვა-გაცილების და ფულადი სახსრების ინკასაციის ავტომობილები აღიჭურვა ახალი ვიდეორეგისტრატორებით; განახლდა AES Intellinet სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა; გაიზარდა და განახლდა SIS დაცვითი-საგანგაშო სიგნალების მონიტორინგის პროგრამული უზრუნველყოფის არსებული ლიცენზიის მოცულობა; გადაიარაღდა და ნაწილობრივ შეიცვალა ქ. თბილისში დამონტაჟებული IPlink მიმღებ-გადამცემი მოწყობილობები.

5. საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი მართვა

საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო უსაფრთხოების განხორციელების კოორდინირებისა და ორგანიზების, ასევე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეაბილიტირებულ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 12 შენობა. გარდა ამისა, აშენდა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახანძრო-სამაშველო 4 შენობა, რომლებიც უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით აღიჭურვა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, კერძოდ: NATO-ს კატასტროფებზე რეაგირების ევრო–ატლანტიკურ საკოორდინაციო ცენტრთან; ევროკავშირის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკოორდინაციო ცენტრთან; გაეროს ჰუმანიტარული საქმიანობის საკოორდინაციო ოფისთან; ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოსთან; სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ICDO) და სხვა. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორიცაა: საქართველოს წითელი ჯვარი; ASB; CENN; OXFAM და სხვა.

6. გასამხედროებული დანაყოფების მოდერნიზაცია

2016 წელს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები: დამტკიცდა დეპარტამენტის ახალი დებულება; დაიხვეწა სამსახურის წესის გავლისა და კარიერული წინსვლის არსებული სტანდარტები; ცალკეული სტრუქტურული დანაყოფის სახით ჩამოყალიბდა: საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების სამმართველო, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სამინისტროს მოსამსახურეების საბრძოლო და სპეციალურ მომზადებასა და გადამზადებას, გამნაღმველთა განყოფილება, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ასაფეთქებელი მოწყობილობების, ფეთქებადსაშიში ნივთიერების, სპეციალური მოწყობილობებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების აღმოჩენას. შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დებულებაში ცვლილება და შეიქმნა დაგეგმვისა და კოორდინაციის სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელია სპორტული შეჯიბრებების უსაფრთხოებაზე. ასევე, დეპარტამენტში მიმდინარეობს სრული რებრენდინგი, რაც გულისხმობს როგორც პირადი შემადგენლობის უნიფორმების შეცვლასა და განახლებას ასევე, დეპარტამენტის ლოგოებისა და სიმბოლიკების განახლებას; ქ. თბილისის განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოში მოეწყო მართვის ცენტრი, საიდანაც დეპარტამენტის შტაბის მიერ ხორციელდება დეპარტამენტის დანაყოფების მართვა სხვადასხვა კრიზისული სიტუაციის წარმოქმნის დროს. დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით, დეპარტამენტს გადაეცა სატრანსპორტო საშუალებები და განახლდა ინფრასტრუქტურა.

სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტში განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი და შესრულდა სხვადასხვა ტექნიკური სამუშაო;

7. საპოლიციო განათლების სფერო

შსს აკადემია არის საქართველოში საპოლიციო კადრების სწავლებისა და მომზადების ძირითადი ბაზა. მის ძირითად მისიას სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით სამინისტროსათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და ცოდნით აღჭურვილი, მაღალი ღირებულებებისა და პრინციპების მქონე კადრების მომზადება წარმოადგენს. შსს აკადემიის შესაძლებლობების გაძლიერებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით შსს-ს აკადემიასა და 10 რეგიონულ დანაყოფში 2016 წელს დისტანციური სწავლების მეთოდი დაინერგა. ამასთანავე, 2016 წელს შემუშავდა და განახლდა რიგი საგანმანათლებლო პროგრამებისა;

აშშ-ის მთავრობის მხარდაჭერით 2016 წელს შემუშავდა პროექტი, რომლის თანახმადაც შსს აკადემია შეიძენს სამართალდამცავთა მომზადების საერთაშორისო ცენტრის ფუნქციას, სადაც საწყის ეტაპზე რამდენიმე ქვეყნიდან სამართალდამცავები გაივლიან სწავლებას და მომზადებას. შსს-ს აკადემიის რეფორმით განსაკუთრებული დაინტერესება გამოხატა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიურომ (INL), რომელმაც აკადემიის შესაძლებლობების განვითარებისთვის, საწყის ეტაპზე, ნახევარი მილიონი დოლარი გამოყო. მიმდინარეობს მუშაობა მენეჯმენტისა და კორუფციის/ორგანიზებული დანაშაულის მოდულების დახვეწაზე, რაც შემდგომში რეგიონისა და მეზობელი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან ერთობლივი (ორმხრივი და მრავალმხრივი) სწავლებების კუთხით დაინერგება და განხორციელდება.

8. საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება

საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და განვითარების მიზნით 2016 წელს გაფორმდა 10 საერთაშორისო ხელშეკრულება და თანამშრომლობის მემორანდუმი.

2016 წლის დეკემბრის თვეში ევროპის პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების პროექტი დაამტკიცა. შეთანხმებას სავარაუდოდ ხელი მოეწერება 2017 წლის გაზაფხულზე. აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველო ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი ქვეყანა გახდება და ევროპის პოლიციის სამსახურთან, როგორც ოპერატიული, ასევე, არაოპერატიული მიმართულებებით ითანამშრომლებს. შეთანხმების თანახმად, საქართველოს შსს მონაწილეობას მიიღებს ევროპოლის ფარგლებში ორგანიზებულ ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში, ევროპის პოლიციის სამსახურთან უსაფრთხო არხის მეშვეობით გაცვლის ოპერატიულ ინფორმაციას და პერსონალურ მონაცემებს, ევროპოლისგან მიიღებს ანალიზზე დაფუძნებულ მნიშვნელოვან საპოლიციო ინფორმაციას, ასევე, ევროპოლის შტაბ-ბინაში წარგზავნის მეკავშირე ოფიცერს, რომელიც ევროპის პოლიციის სამსახურთან მჭიდრო და ეფექტური კავშირების დამყარებას უზრუნველყოფს;

საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალდამცავ და უსაფრთხოების ორგანოებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარების, წარმოებისა და განვითარების მიზნით 2016 წელს პოლონეთისა და იტალიის რესპუბლიკებში, ასევე, შვედეთის სამეფოში დანიშნულ იქნენ ატაშეები;

9. ადამიანური რესურსების განვითარება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დიდი ყურადღება ეთმობა თანამშრომელთა სხვადასხვა უნარის გაღრმავებასა და მათ შემდგომ განვითარებას. ამ მიზნით, 2016 წელს, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, რეგულარულად ხორციელდებოდა სპეციალური ტრენინგები, კურსები და სემინარები, რომელშიც მონაწიელობას შს სამინისტროს თანამშრომლები იღებდნენ.

2016 წლის ივნისის თვეში შინაგან საქმეთა სამინისტრომ 13 უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის 200-მდე სტუდენტს შსს-ს აკადემიაში გამართულ კარიერული განვითარების ფორუმზე უმასპინძლა. ფორუმის მიზანს უწყების მუშაობის შესახებ სტუდენტების ინფორმირება და

კვალიფიციური, მოტივირებული კადრების მოზიდვა წარმოადგენდა. ზემოაღნიშნული ფორუმზე შერჩეული სტუდენტები შს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფში დასაქმდნენ.